ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2024 წლის 18 იანვარი

ქ. ტყიბული

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ და „ა[1]“ ქვეპუნქტებისა და მე-2 მუხლის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მარშრუტები განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების დანართით დამტკიცებული მოძრაობის მარშრუტების შესაბამისად, M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებები მგზავრთა რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული სუბიექტის – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“ მეშვეობით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 თებერვლიდან.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **იოსებ რობაქიძე**

დანართი №1

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მარშრუტები

მარშრუტის №	M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტები	ავტობუსების ყოველდღიური რაოდენობა	ინტერვალი საშუალოდ (წთ)
მარშრუტი №1	რუსთაველის ქუჩა, კარლო ლომაძის მოედანი, კ. გამსახურდიას ქუჩა, ტყვარჩელის ქუჩა, ხრესილის ქუჩა, სოფელი სამტრედია, სოფელი საწირე	2	30
მარშრუტი №2	რუსთაველის ქუჩა, კარლო ლომაძის მოედანი, ჯავახიშვილის ქუჩა, მეშახტის ქუჩა, დუმბაძის ქუჩა, ჯალაღანიას ქუჩა	1	30
მარშრუტი №3	რუსთაველის ქუჩა, კარლო ლომაძის მოედანი, რობაქიძის ქუჩა, გორგიძის ქუჩა, ფორჩხიძის ქუჩა, სვანეთის ქუჩა	1	30
მარშრუტი №4	რუსთაველის ქუჩა, კარლო ლომაძის მოედანი, კ. გამსახურდიას ქუჩა, რ. თაბუკაშვილის ქუჩა, ბრეგვაძის ქუჩა	1	30

მარშრუტი №5	რუსთაველის ქუჩა, სოფელი ახალსოფელი	1	30
მარშრუტი №6	რუსთაველის ქუჩა, გაბრიაძის ქუჩა	1	30
მარშრუტი №7	რუსთაველის ქუჩა, ჩხეიძის ქუჩა	1	30
მარშრუტი სოფელი საწირე-სოფელი დაბაძველი	სოფელი საწირე, სოფელი დაბაძველი	1	30
მარშრუტი სოფელი საწირე შიდა საუბნო	სოფელი საწირე შიდა საუბნო	1	30